

კარი ერთოსელი

კოლეგი  
ფსალმუნი

100-ტომეული



გამომცემლობა „კნივერსალი“  
თბილისი 2020

საქართველოს მწერალთა, მეცნიერთა და  
საზოგადო მოღვაწთა საერთაშორისო აკადემია  
„ეპლიუს-საქართველო“

საქართველოს მროველი აკადემია

# კუსა ექისტელი



## კოლეური ფსალმუნები

0169 ულეათა კრებული  
100 ფომად


2020



საქართველოს მწერალთა, მეცნიერთა და  
საზოგადო მოღვაწეთა საერთაშორისო აკადემია  
„ეპლიუს-საქართველო“

საქართველოს ეროვნული აკადემია

# კუკა ეჭილელი



კოლეური  
ფსალმუნები

ტომი 86

2020



მთ. რედაქტორი

## თატა ლილისპურელი

მწერალი, მსოფლიო გრანპრის  
მფლობელი, მარიკა ბარათა-  
შვილის სახელობის პრემიის  
ლაურეატი, საქართველოს  
მწერალთა, მეცნიერთა და  
საზოგადო მოღვაწეთა  
საერთაშორისო აკადემია  
„ქალდეა-საქართველო“-ს  
აკადემიკოსი

© ვაჟა ეგრისელი, 2020

გამომცემლობა „ენივერსალი“, 2020

---

თბილისი, 0186, ა. პოლიტიკოსიანის №4, ჟ: 5(99) 33 52 02, 5(99) 17 22 30  
E-mail: universal505@ymail.com; gamomcemlobauniversali@gmail.com

ISBN 978-9941-26-572-3 (ყველა ტომისთვის)

ISBN 978-9941-26-893-9 (86 ტომი)



\* \* \*

ვაკა ეპისტოლი დაიგადა ხოგის რაიონის სრულდ ხორბაში. განათლებით იურისტი და ინჟინერია. 1983 წელს დაამთავრა მოსკოვის მასიმ ბრეკის სახელმგის მსოფლიო ლიტერატურის ინსიტუტი. ორმოცამდე წიგნის აპტორია. თარგმნილი და ცალკე წიგნებად აქვს გამოცემული საზღვარგარეთის ძველების მომცდათა მდე ახალგაზრდა პოეტის ლექსების მცირ ანთოლოგია – „ოქროს მთვარი“, აღმსანდრა სმირნოვა-კოზელივას მონოლოგია – „პრიულველი“ – ალიო მაშავილი“, უცოდო ტიურჩევის ლექსები და სხვა.

1993 წელს ბამოვიდა კონტის ათასგვერდიანი, რომ ათასამდე ლექსის მომცველი ერთობებული – „იმპერიალიზმი“ ხოლო 2002 წელს საქართველოს რჩებულიკის ბამოვცემლობა „მოლოდინება“ ბამოსცა ვაჟა ებრისელის „კოლეგიალურად“ სამართველოს ათასებ მეტ გვერდიანი კონკრეტული ფომი, რომელშიც რინაირასებ მეტი კონტროლი მინიჭება იყო დაგენდილი. 2006, 2007, 2008 წლებში ბამოვიდა კონტის მეორე, მსამახ, მეორეს ათას-ათას გვერდიანი ტრანსფერი, ხოლო 2011 წელს დაიგენდა კონტის მახსომ, 1575 გვერდიანი ტრანსფერი, რომელშიც 2500-ზე მეტი ლექსია დასტაბული.

ვაკეა ებრისელის შემოქმედებაზე ორმოცამდე მონო-ბრაზიანა დაწერილი და ცალკე წიბენებად გამოცემული.

გაეს ებრისებლი საქართველოს და მსოფლიოს რამდენი-  
მე მეცნიერებათა აკადემიის ნამდვილი ტევრია... 2016 წლიდან  
საქართველოს მფრინავთა, მეცნიერთა და სახოგადო მოდე-  
რათა საერთაშორისო აკადემია „ქალღეა-საქართველო“-მ და  
საქართველოს ეროვნული აკადემიამ დაიყვა ქართული პო-  
ენის რაინდის, საქართველოს მფრინავთა კაგზორის, ვაქა-  
ზგაველასა და ბალაკტიონ ტაბიძის პრემიების დაურევატის,  
დირექტორის ორგენის პავალერის, ქართული კულტურის დესა-  
ნის გედლისა და „დიორსპურია 2005“-ის, მშვიდობის მოწოდების  
ვარსკვლავისა და მშვიდობის დროშის ორგენის მფლობელის,  
სახალხო კოეფის, საქართველოს მფრინავთა მეცნიერთა და  
საზოგადო მოღვაწეთა საერთაშორისო აკადემია „ქალღეა-  
საქართველო“-ს პრეზიდენტის, საქართველოს ეროვნული და  
ფაზისის საერთო-სამცნელო აკადემიის პირების პრეზიდენტის.



ავხანეთის მეცნიერებათა აკადემიის პრეზიდენტი-აკადემიკოსის, საქართველოს განათლებისა და სამართველოს ეროვნულ და სოციალურ ურთიერთობებითა“ „ვარძის“, „აიას“ აკადემიკის ნადვილი წევრის, ჩატბლის, უზბღილის, ხობის, იყალთოს სა-აატიო მოქალაქის, ათას-ათას ხუთასხე მეტბვერდიანი ტო-მეუღების „კოლეჯი შასლაშვების“ (ოცდაათიათასხე მეტი ლექსი) აპტორის – ვაჟა უბრისების ახალი, ოჩული „კოლეჯი შასლაშვების“ (ოცდაათომობულის გამოცემა. გამომცემ-ლობა „უნივერსალმა“ გამოსცა კოექტის ხუთასხე მეტბვერდიანი, უბადლეს კოლიბრაფიულ ღონისე შესრულებული ტომები. 2019 წლის მიზრულს გამოვიდა „კოლეჯი შასლაშვების“-ს 100-ტომეულის პირველი ათი ტომი. დანარჩენა 90 ტომია (უკლებლივ) მზის სინათლე იხილა 2020 წელს. გამსაღებულია დასახურდად ვაჟა უბრისების კლასისური კოექტის ათომობული, აბრეტვე, კოექტისადმი მიძღვნილი ქართველი და უცხოელი კოექტების, მეცნიერებისა და სახოგადო მოღვაწეების (ათასამდე აპტორი) წიგნების (მონოგრაფიების), სტატიების, წერილებისა და ლექსების ოცნებებული და სხვ.

2020 წლის 16 ოქტომბერს გაიგაროა ვაზისის (კოლე-ტის) საერო-სამეცნიერო აკადემიის საერთო კრება, რომელ-მაც პრეზიდენტის ვაკანტურ ადგილზე დია კანკისყრით ერთ-ხეად აირჩია აგავე კადემიის 30ხვ-კარეზილენტი, ცხობილი კოექტი, ქართული კოექტის რაინდი, ქართული კულტურის დესანტი, „კოლეჯი შასლაშვების“ 100-ტომეულის აპტორი, იურიდიულ მეცნიერებათა საპატიო დოკტორი, აროვესორი ვაჟა უბრისები.

გახ. „საქართველოს რესპუბლიკა“,  
2020 წლის 22 ოქტომბერი

კყავს მეუღლე – გილდა სეხიშვილი (მღერალი) და ორი ვაქიტვილი ზრუბაბი და დაჩი (ორივა იურისტი) და სამი მვი-ლიშვილი – ვაჟა, ნატა და ლილე. იგი – მეცხევ შვილია (შვილი ქმა და ორი და).





## პოეტის ასტომული „კოსმიური პოეზია“

ვაშა ებრისელის შესახებ დიდი ხნის ფინაც ვწერდი: „რქს-თველს აკაპის და ბალაპტიონს, ღმირთი არ მიწვის რომ შება-დარო. ბავხარ ზღვის ღმლვას და ნაზ სირსაც, რომ აზანზარებს ჩემად სამყაროს...“

ამჟამად, როცა პოეტის ზდაპრული კოსმიური „შალმუნე-ბის“ ჯერ არნახული, ჯერ არ გაგონილი, ხუთასუმ, ათასებ, ათას ხუთასუმ მიტგვერდიანი „პაჭაღლო“, ოქროს ყდაში ჩასული, ოცდათოტომეული ზავითხე, ჩემი ძველი აზრი რადიკალურად უარვდავ და... დღეს ძვეშის ბასაბონად ხბამაღლა ვაცხადებ: ვა-შა მცირებული არც რუსთაველს, არც აკაპის, არც ბალაპტიონს და... არც მსოფლიოს, არც ძველსა და არც თანამედროვე კოეცს არა ჰპაპს...“

ის კრეისტურიული კოლხეთის „შუტაია“, არმის ჰალაში მდგა-რი მუხაა, რომელსაც ოქროს სამზისი ეკიდა (რომელიც გერმენმა პი არა, ჰელაზგა იაზონება მედვასთან ერთად რომ გაიტაცა).

დიახ, კოლხეთის მითიური ხელმოწის, აიეტის ხელი დარ-ბელი, ის ურნეულ მოდარაჯე მუხაა, რომლის ცადავადილ ტო-ტეპახე, კოეჭმა ოქროს სამზისის „ბონის“ მაბიერ თავისი „კოლ-ხერი შალმუნების“ იგავითვალებრივი ასტომული დაკიდა და ბააცოცხლა, მიძინებული, დავიუყვასის ნაცარმიყრილი, არა მარ-ტო კოლხეთის, არამედ მიღროინდებლი სამყაროს ოცდათოთხმე-ტებ მეტ საუკუნვანი მითებით, ლეგენდებითა და საოცენებით დახუნდული ისტორია, რაც კომერციიდან მოყოლებული (ძვ. წ. აღ. VIII საუკუნე) არც ერთი ძვეშის, არც ერთი კალმოსანს არ გაუკითხავა.

100-ტომეული... ძვეშის გაჩენის დღიდან, XXI საუკუნის რის-რაქამდე, ასეთი (5-6 სტრიქონიანი) ფილოსოფიური, რელიგიური, მითოლოგიური, ყოვლისმოცველი კომია, ჯერ-ჯერობით არავის შეუძლია დედამიწაზე...


კოსმოსში კ...

დაგრდოს:

„აიეტის ზდაპრულ კოლხეთის, მტრობისა და სიძულვილის გვე-ლუშაპი მისწოდია... მათ იციან იქ იღვება დედამიწის ისტორია“.

### გულახ ხარაიზვილი

კოეჭი, ბალაპტიონ ტაგიძის არევის დაურიატი,  
ჯემბერ ლეხაგას სახელობის მეცნიერებათა  
სამრთაშორისო აკადემიის არმზილენტი





„გულიფიად შესვლი ყოველ შებას, ყოველ ძაბნებას.“

ა. პუშკინი

შონასიტეპარბის მაბიერ

(გაგრძელება)

დიდო კოლხო მგოსანო, ქედმაღლობა შენი  
ლექსებისა მისაღებია საზოგადოებისათვის, რა-  
დგან, როგორც პოეტი, შენ თვითონ ხარ მისაღე-  
ბი და სათაყვანო ერისთვის. თვით შენი პოეზი-  
ოს ქედმაღლობას ჩვენ სულ სხვა კონტექსტში  
ვგებულობთ და აღვიქვამთ. ვაუა-ფშაველამ შემ-  
დებ ვაუა გერისელი, ალბათ, ერთადერთია ბუნე-  
ბასთან შეზრდილი, მაგრამ როგორც პიროვნება  
არ გვინდა იყო ერთი... რადგან ქართველი ერის-  
თვის თქვენისთანა პოეტის, რაინდის, კოლხეთი-  
დან აფრენილი არწივის ერთეულის როლში და-  
ნახვა, დასანანია. – თქვეს აღფრთოვანებით ქა-  
დებმა, ხოლო შემდეგ –

„გვიანობამდე ღრეობდნენ მთები,

– მერე პოეტის სიყვარულით



დაღლილნი,  
მიეყარნენ –  
ზღვის ნაპირზე დასაძინებლად“...

ზღვის ნაპირზე დაყრილ მთებს ნაზად ჩა-  
უქროლა, თითქოს მოეფერა – თან პოეტის ახა-  
ლი სურათი თვალშინ აუფრიალა და ომახიანად  
შესძახა მათ.

ხედავთ დელავს ენგური, კლდეებს ეხეთქე-  
ბა გაშმაგებით, სალი კლდიდან კი კოლხეთის  
წერილი ჟონავს და ეს აშკარად ჩანს პოეტის  
გამოხედვაში.

„თვალები უჩვეულო ხედვით,

სამშობლოსათვის,

სიყვარულისთვის,

მეგობრობისთვის,

ჩამწყვდეულია დილეგში ფრთხილად

და ადევთ გისოსოსები

წამწამების,

ასე უძილონი და

ნაწამები

ელიან დილას“...

სიოს დიდი სურვილი აქვს პოეტისთვის  
შექმნას ლამაზი, საამური დილა, მაგრამ საი-



დანდაც უური მოქრა – შევაჯახებდი პოეზიის  
დიდ ტალღას და გაგაპობდი ოკეანის შუაში აღ-  
მართულ რიფების ერთიან „ჯაჭვე“:

– ოო, ეს ურთულესი ოცნებაა, რადგან რი-  
ფები გადაჭიმულია დიდ ტერიტორიაზე, ხოლო  
ოკეანის ფსკერის თვალუწყდენელი ნაწილი ვაკე  
რელიეფის მქონე ქვაბულებს უკავია. ხმელეთის  
მსგავსად აქაცაა ბრტყელი და ბორცვიანი ადგი-  
ლები. ოკეანის თბილი წყლის მცირე სიღრმეში  
კოლონიებად ცხოვრობენ ზღვის ორგანიზმები,  
ყველაზე მეტი ღრმული წყნარ ოკეანებია, აქ  
ხშირად იცის მიწისძვრა, რომელიც საშიშია სი-  
ცოცხლისათვის, ამიტომ ასე გამოუკნობი თვა-  
ლებით კი არა, უფრო რბილად შეხედე და  
აღიქვი ცხოვრება. ვეშაპის სიძლიერის ნამდვი-  
ლად არა ხარ, ფიქრშიუწყდომელ ცის სიშორე-  
ში ნუ დგახარ, თორემ შეიძლება შებლი და გუ-  
ლიც დაგეძარღვოს (დაგებეროს) ცაცხვის, ნე-  
კერჩხლის, მუხის ფოთლებივით – იყო მტკიცედ  
თქმული ზეციდან... მაგრამ პოეტი ამ დარიგების  
შემდეგაც – „რაა ცხოვრება დელვის გარეშე?..“

დელვაც არის და დელვაც, – არ გაუჩუმ-  
დნენ სალი კლდეები.

— ცხოვრებაში ადამიანი ყოველთვის უნდა  
ფიქრობდეს —

„... ავაგიზგიზოთ სიკეთის და რწმენის კო-  
ცონი“...

ამბობს გულდიად და მედგრად...

პოეტს მხარი აუბეს ზღვიდან ამაღლებულ-  
მა ტალღებმა და მკაცრად გადმოსძახეს: იყუჩეთ  
თორებ მგოსანი —

„მარადის ცისკენ ფრთებაწურული,

მოფრინდებიან ოცნებათა შავი მერნები.

გაშმაგდება და აღვირს გადაწყვეტს

მისი სურვილი

და ღრმა სულიდან

ამოხეთქავს ხმა შადრევნებად“.

ნეტავ რა ხდება? — იკითხეს გაკვირვებით  
ვარსკვლავეთიდან, — თქვენ, ხომ იცით, პოეტის-  
თვის არ არსებობს შორეული დრო და მანძილი,  
ის პოეზიის სამყაროში, როგორც დიდი ვაჟას  
მემკვიდრე, შემოვდა უძველესი კოლხური, მთვა-  
რის აფრიანი გემით და ძილი დაუფრთხო კუ-  
ლუარებში მიმალულ ზოგიერთ ფერმკრთალ ახ-  
რდილებს. მან კოლხური სიამაყით, თავაწეულად  
გადასძახა: —

„არ შეუდრკები ქუხილში მდგარ ღრუბლების

სისქეს

და ჩემი სული –

უქრობ ცეცხლივით –

ჩემი მამულის შუა კერიიდან მიიწევს ცისკენ“.

მან იცის, რომ „მისი პოეზია არის ოვითნაბადი პოეტური მარგალიტებით სავსე ზღვა, ლაქვარდოვან ქართულ ცაზე ფიქრისა და აზრის ცისარტყელებით დაკიდებული“. (პროფესორი შოთა აბულაძე), ამიტომ იგი აზროვნებისა და ოცნების ერთ წერტილზე არასდროს ჩერდება. ის არის იქ, სადაც უნდა იყოს – ხმამაღლა გადმოსძახეს ბარს კავკასიონის მთებში.

მისი პოეზიის მიზანია, – განაგრძეს მყინვარებმა:

რომ მამულის შუა კერიიდან გასწიოს მშობლიურ ცისკენ...

იგი ხედავს შურის საფრებში მიმაღულ მგელთა ხროვას, რომლებიც პოეზიის უდაბნოში მიმავალს წინ დახვედრას უპირებენ ავისმოსურნენი ეს სურათზე. პოეტის გამოხედვიდანაც



ჩანს, მაგრამ ქედს არავის მოუხერის, ბორკილს არ შეუშინდება, „რადგან მისი პოეზია უძველესი ქართული ტაძრების ფრესკებივით დგომიური სულიოთაა გაბრწყინებული.“ (პროფესორი ნიკო კერესელიძე). პოეტი შიშით არსად ჩაიძირება, არც გადატყდება და არც გაიბზარება მისი სულიერება, რადგან მისი პოეზია ნიჭითა და ერის სიყვარულით არის გაჯერებული. დიახ, ასეა, ასე, ჩვენ კარგად გვესმის და ვიცით, – მოისმა ხმა ზეციდან.

ვაჟა ეგრისელის სიყვარულით და სათნოებით შემოსილი შემოქმედება მთელს სივრცეს მოედო და გეზი ცისკენ აიღო. პოეტი ბავშვობიდანვე იყო მიზანდასახული – „მე დღევანდელი დღისთვის, ლუკმა პურისთვის კი არ ვწერ, არამედ საუკუნეებისთვისო“... (ანატოლ ფრანსი) შეეხმიანა ცისარტყელა, მაგრამ იქვე, პოეტისადმი შურით შეპყრობილმა ხროვამ მისი დაგლეჯა განიზრახა.

„სხვაც ბევრი რამ...

მაგრამ ესეც –

არის ჩვენი

ბედისწერა...“



დაიქუხა ცამ, ალბათ, ამიტომ იყო პოეტი  
ხშირად, რომ ამბობდა:

„როდესაც ვრჩები ფიქრებთან მარტო,  
ეს ჩემი გული,  
უცრემლოდ ტირის“...

მზიანი დღეა, საოცარი შემთხვევაა, პოეტი  
უცრემლოდ ტირის. თითქოს მზე ლოკებდაბუ-  
რილ კვირტებს კოცნის, ფრინველები ჟივუკებენ,  
ნიავი აბიბინებულ ბალას ნაზად არხევს, სივ-  
რცეს შეყვარებული წყვილები მიდიან და ერ-  
თმანეთს ესიყვარულებიან, მაგრამ ამ დროს –

„პოეტს ვეღარ შეაშინებს,  
მგლის მოდგმა და

მათი ჯიში...  
ქოფაკივით შავი დამე,  
მგლისთვალება –

დილის შიშით,  
სოფლის ბოლოს მიღავდავებს“...

ღრმა ოცნებაში ჩაფლულ პოეტს სოფლის  
ბოლოს კი არა მის დასაწყისში დაუხვდა შური-  
ანი, დვარძლიანი მგლების თვალები, თითქოს  
ხსნის იმედიც არ არსებობდა შორიდან რომ შე-



გეხედათ, მაგრამ პოეტმა უმალვე აღიქვა ვინც  
იყვნენ ისინი და მიაძახა:

— ეი, თქვე „უძლურნო“, თქვენ პირისპირ  
შებმა მწადია! პოეტს უმალვე გამოეხმაურა ბუ-  
ნებაც.

„საიდანდაც მოვარდნილი,  
ქარიშხალი ხელებს უხსნის,  
სიმყუდროვის ჭერს და ერდოს,  
მეხს უნდა, რომ წვიმის ლურსმნით  
მგლები

მიწას დააჭედოს“.

მეხის გავარდნამ შეაზანზარა ცა და ხმე-  
ლეთი, ადიდდნენ მდინარეები შეიქმნა უთანას-  
წორო სამკვდრო-სასიცოცხლო ბრძოლ. ამის  
შემყურე ძლიერ ზღვასაც გული წაუგიდა და ქა-  
რის მკლავებზე მიესვენა.

— ამის მხილველებმა ვარსკვლავეთიდანაც  
გადმოსხახეს — ო, ღმერთო, საქართველოს ცა  
და მიწა სევდითაა შენისლულიო. ხედავთ... ყვე-  
ლაზე მაღალ ფერდობზე, რა ხდება? — გაიკირ-  
ვეს ზეცის ბინადრებმა.

— რა არის, რა? — დაინტერესდნენ ელვა და  
ნიავი, — ნახეთ ლამაზი გველი ისეა დახვეული



ერთ მთლიანობაში სამყაროს ერთიანობის მოგვაგონებს, კუდი თავქვეშ ამოდებული, თავს ითბობს მზის სხივებით, თავს იწონებს თავისი თვალისმომჭრელი, ლამაზი სამოსელით.

„დღეები –

ლამეებს ელის

და აელვარება –

მრუმე მთებს.

ფერდობზე წრედ გდია გველი

და პირში კუდს იდებს –

დასაწყისს დასასრულს უერთებს.“

მზით გამობარი, ჩაძინებული გველი სიზარშია, გულში შეყვარებულზე ფიქრობს:

– „იგი ერთია,

არა პგავს არავის,

სულ სხვაა მისი სასახლე და ფაცხა“...

აი, ასეთი განწყობა პქონდა გველს, მაგრამ ამ დროს ბარში, გააფთრებული შეხლა-შემოხლა გრძელდება, რა ხდება ნეტავი, გადმოიხედეს სხვა პლანეტიდან და რას ხედავენ...

ავისულები უკიუინებენ პოეტს – სიკვდილის ხეობას დაგანახებოთ.



— თქვე უგნურებო, შურიანებო, სიკვდილის ხეობა კალიფორნიის შტატში რომ მდებარეობს არც კი გეცოდინებათ, იქ მხოლოდ ეპლები და კაპტუსები ხარობენ. თქვენ კი იმ ეპლებზე უფრო ეპლიანები ხართ. სახელწოდება „ღმერთისგან შერისხულ ადგილს“ უკავშირდება. როცა, სიკვდილის წინ ერთ-ერთმა ოქროსმაძიებელმა დაიძახა: „მშვიდობით, სიკვდილის ხეობავ!“ ოროქსმაძიებლების რუკაზე სულის შემძვრელი სახელწოდებების ამოკითხვა შეიძლება: „კანიონი კუბო“, „მიცვალებულის გასასვლელი“, „ჯოჯოხეთის ჭიშკარი“, „ჩხრიალა გველის ხეობა“, „სიკვდილის ხეობა“ — ესაა უზარმაზარი ქვაბული, ზღვის დონიდა 85 მეტრზე დაბლა, რომელიც ყველაზე ცხელი ადგილია სიკვდილის ხეობაში.

— პო, აქ ჩაგაგდებო იცოდე, დაიღმუილა მგლების ხროვამ.

— „ჩხრიალა გველის ხეობა“, რატომ მახსენებ, რაშია საქმე? და როცა ხმაურმა შეაწუხა მთის წვერზე განცხომით მწოლიარე გველი წამსვე გაიშალა და სისინითა დაეშვა ქვევით და რას ხედავს — პოეტი აბობოქრებული, საკინძ-სა-



ყელო ჩამოხეული, სისხლიანი, მარტოკა ებრძვის  
მოშურნეთ, შეხვდა შექმნილ ვითარებას და  
უმალვე მოაგონდა პოეტისადმი მიძღვნილი ლექ-  
სი:

„მეც იმათ ვაქებ, ვინც რომ მიქია,  
მერე მათ ლანდებს, ვიცი, შეუვლი.  
ჯერ უჩინარი შენ ხარ სტიქია –  
შურის შავ ყბებში გამომწყვდეული“.

— არა, არ მივცემ მათ პოეტის შავ ყბაში  
გამომწყვდევის უფლებას, თქვა და... დაერია  
მათ. უმალვე დაგესლა თითოეული მოწინააღ-  
მდეგა, რომელიც წინ შეეფეთა. ელვამაც გაჰკრა  
უცებ მეხი, მუნჯ ზღვასაც ქარიშხალმა ძლივს  
ამოდგა ენა, აფორიაქდნენ ვარსკვლავეთშიც,  
როცა ზემოდან გადმოხედეს ამ სურათს.

ულამაზეს მთვარის ჭალაში, შიში ჩადგმოი-  
ათ პოეტის დამარცხებისა, მაგრამ არწივმა ცაში  
კამარა შეჰკრა, ამით პოეტს გამარჯვების იმედი  
ჩაუსახა. ამასობაში დედამიწამაც უბიძგა და  
ავისმდგომნი, დავიწყების დიდ უფსკრულში ჩაც-  
ვივდნენ.

„არავარ მე იმ გორისა,  
შენი შიშით, რომ ვიტირო,



პირიქით, მუდამ დაგეძებ,  
არ გხედავ თავლში მაკლდები,  
ან თავს შეგაკლავ სიკვდილო,  
ანდა შენ შემომაკვდები.“

იწვა პოეტი უგონოდ მასთან მისრიალდა  
გველი, თვითონაც საქმაოდ ნაიარევბი, პოეტს  
თავს დასტრიალებდა, ჭრილობებს უამებდა სამ-  
ჯურნალო შხამით, ფოთლებს აფენდა, დიდი  
მონდომებით უვლიდა, ვითარცა ლუხუმს, რათა  
გადაერჩინა.

პლანეტიდან დაჟურუებდნენ და გაოცებული  
იყვნენ გველის სიკეთით, როგორც იქნა, დაჭრი-  
ლი ნელ-ნელა სიცოცხლეს უბრუნდებოდა, მაგ-  
რამ ჯერჯერობით თვალები ვერ გაეხილა და  
გონზე ვერ მოსულიყო, მხოლოდ ბუტბუტებდა  
თავისთვის.

„ჩემში აღარ მეფობს შიში,

არც სიკვდილის,

არც არაფრის.

მთვარე მოჩანს დრუბლის ჩრდილში,

ვით ნახევი ძველი აფრის...“

— ხომ ხედავ, რა სიმრავლეა ცაში მნათო-  
ბებისა, აინტერესებთ პოეტის მდგომარეობა, ყვე-



ლას პოეტის სიკეთე სურს – ერთმანეთს არ აც-  
ლიდნენ ვარსკვლავები პასუხად მხოლოდ კვნე-  
სა ისმოდა, მაგრამ ერთ დღეს პოეტმა გაახილა  
თვალი, წარმოიდგინა:

„როცა ზღვა დელავს,  
როცა ქრის ქარი,  
მე  
მაშინა ვარ მშვიდი  
და წყნარი“.

მართლაც მშვიდად და წყნარად იწვა პოე-  
ტი, მაგრამ გვერდით რაღაც უჩვეულო მოძრაო-  
ბა იგრძნო. მოიხედა და მის გვერდით გაწოლი-  
ლი გველი დაინახა, სულ გადაავიწყდა მგლებ-  
თან შეხლა-შემოხლა და ზეზე წამოვარდა.

— ვაუა ეგრისელო, ნუ ჩქარობთ, თუ არა მე,  
ცოცხალი არ იქნებოდი...

— ვინა ხარ, რომ მელაპარაკები ქალის  
ხმით, ეს როგორ ადვიქვა?

— ჩემო კარგო, ცხოვრება ბრძოლაა...

ყოფნა არყოფნა —

ორი ნაპირი ერთი მდინარის.

ძალიან შევტოპე სიყვარულის მორევში.  
იქით ზღვაა, აქეთ ოკეანე, გასვლა მინდა, მაგ-



რამ გული სიყვარულით აბობოქრებულია და  
ჩამძირავს, ხომ ხედავ რა მიუო შენმა ტრფობამ...  
კვალდაკვალ დაგდევ რომ დაგიფარო ყოველგვა-  
რი განსაცდელისგან... მაგრამ რაა შედეგი?!  
თქვა გველმა და ნელ-ნელა ამაღლება დაიწყო  
და შოლტივით გოგონას ფორმა მიიღო. პოეტს  
ციფმა ოფლმა დასხა. განსაკუთრებულად შეუ-  
ცოდა ყოფილი მასწავლებელი...

„ასე მგონია, უშენოდ ცხოვრებას –  
თვალსევდიანი შორიდან ვუცქერ“.

შემდეგ მხარზე გადაიგდო გველის ფორმა  
მასწავლებელმა და გაუდგა გზას დაღონებული...  
– რა საოცრებები არ ხდება ცხოვრებაში?!  
ცაშიც კი გაუკვირდათ გველის ეს საქციელი.

თვით პოეტი სერიოზულად დააფიქრა ვითა-  
რებამ, მართლაცდა რა არ ხდება ცხოვრებაში?!  
მართლაც კი გველის საქციელი თუ სიყვარული  
საოცრებაა, მაგრამ უფრო მეტიც იყო წარსულ-  
ში, – უთხრა პოეტს ნიავმა და ნაზად ჩამოუქ-  
როლა, თითქოს გაამხნევა. ზღვას უმძიმესი  
თვალთა მზერით გადახედა და

„წარსულის ცრემლში  
აფრიანი



იოწევა გემი,  
და უჭირს სუნთქვა,  
რომელსაც მიჰყავს  
ქალ-ვაჟები ყალმით ნახატი,  
ძღვნად რომ მიართვას  
სტამბულში სულთანს“ –

„უბედურება... უბედურება... ქართველი ერისა,  
დაიკვნესეს პლანეტიდან, ხოლო პოეტს კი ერის  
ტკივილისაგან წვეთ-წვეთად ჩამოსდის ცივი ოფ-  
ლი და მრისხანედ ამბობს –

„ჩემს სულს აწვიმს,  
გულს კი ათოვს“.

ო, დმერთო, შორს ოცნებაში წასულმა წა-  
მით გაიფიქრა – ეს ბებერი ზღვა, მთები, ქედე-  
ბი, მყირნვარწვერი და საერთოდ გარემო ფიქ-  
რებში როგორ შემომეცრიცა, ან რა გულის შემ-  
ზარავად ჩამწივის ქალ-ვაჟთა გოდება, უწინ  
სტამბულში, რომ მიჰყავდათ გასაყიდად, ან ხონ-  
თქრისთვის ძღვნად მისართმევად.

– გევო წუხილი, ბრძოლა მოიგე უსასტიკე-  
სი, განგებამ შენი ყველა მოშურნე ჩამირა, ხო-  
ლო შენ ზღვის ტალღებმა ნაპირზე გამოგრიყა,



ბედი მრისხანე გამოიარე. გესმის ათასჯერ ნახ-  
მლევი, მაგრამ ცოცხალი საქართველოს წარსუ-  
ლის კვნესა, მიყვევი ცისკარს შენი კალმით, რო-  
გორც გამარჯვებული და —

„სადაც სიცივისა ლურჯი კიდეა,  
იქ მარტოდმარტო ხარ ულამაზეს  
ცის სამრეკლოზე“...

ამის გამგონე შეყოვნდა, გაახსენდა გველის  
ნათქვამი, ფიქრს მიეცა. ცხოვრებაში ხშირად კა-  
ცის ფიქრები ჯანყდებიან და დუმილს კაწრავენ,  
მაგრამ გული ხომ ოკეანე არ არის შიგ ყველა-  
ფერი ჩაიტანოს?

— რასაკვირველია არა, მოისმა ისევ ხმა  
იღუმალი.

- მაშ რა გქნა?
- უსმინე ბულბულის გალობას — გადმოს-  
ძახეს მყინვარებმა.
- ბულბულის გალობამ პოეტი ოცნებაში  
გადაიყვანა და თავისი მპაცრი, უჩვეულო თვალ-  
თა მზერით შეხვდა მყინვარწვერს, მთებს, ქა-  
დებს, ვარსკვლავებს და უმალვე მოაგონდა:



„მყინვარწვერი რომ ხელთუპყრიათ  
გითა სანთელი  
და ლოცულობენ მუხლმოყრილები –  
ის მთები არა,  
ჩვენი დიდი წინაპრებია...  
და სულო ჩემო,  
ნუ გაოცდები,  
რომ წინაპართა ცრემლებია – ზღვები  
მღელვარე  
და ვარსკვლავები არის ლოცვები.“

**ტატა დიონისიშვილი**  
**ნაწყვეტი წიგნიდან – „აღქმა ანუ**  
**საოცრებათა სამყაროში“**

გაგრძელება შემდეგ ტომში



## ლექსი

პა,

მინდორი უსამანო,

რამდენი გსურს მკი...

და თესე...

კაცი არჩანს გამკითხველი!!!

რაღა,

შაგქვად

გინდა ლექსი,

თუ არა ჰყავს წამკითხველი.

2019

## ხსოვნის ხიდი

თუ ვერწმუნეთ წმინდა მამებს:

იქ – დღეა და...

აქ კი – დამე!!!

იქ – ოქროა,

აქ – ნახშირი!!!

მცირე სოფელს,

დიდ სოფელთან,

ხსოვნის ხიდი –

აკაგშირებს.

2019




## 0ქვებ

აქ,

ბელტების ღრაინცელში,  
პოეზიის მადლით მოსილს,  
გეშინია გზად დაკარგვის!!!!  
იქნებ...

გაუა ეგრისელო!  
ვით აქილევსს,  
პომეროსი,  
გამოგიჩნდეს –  
მთქმელი კარგის.

2019



## ბილიარდი

გაჩენი დღიდან –

ბედისწერა მეთამაშება,

თითქოს და ვიყო მე ბილიარდი.

ვერ ვეპუები იღბალს

დაგეშილს!

ვიღაც ჯოხს მირტყამს

მემილიარდედ!!!

მაინც ვერ მაგდებს

დამის ბადეში.

2019

## შსახელო უფლისციხელს

აი,

ქს მთა, რომ შემოგვხდა,  
(ეტყობა რომ არვის მონებს!  
მაგრამ ახლა,  
ნიხლს რომ იხვევს)

მე,

არ ვიცი,  
რად მაგონებს.

უსახელო უფლისციხელს.

1968

## ზე-სპნელის გზაგასაყართან

არყოფნის სუფრას უსხედან,  
სიმღერა ისმის  
მაყართა....

იმქვეყნის არსთა გამრიგე,  
სამოთხის საგზურს  
არიგებს,

ზე-სკნელის გზასაყართან.

1971



## ცა პოლიტიკი

პეტრი ცა –

პოლიტიკი,

მუდამ სიყვარულის მდომი,

სხივებს მტკიცნის მზის მშვილდით

როგორ მგვანან

ზღვა და ლომი,

სიფიცხით და სიმშვიდით.

2018



## ପାରପରମାଣୁ ପଲ୍ଲଦେବାନ୍ତି

ମହାତ୍ମା ଗାନ୍ଧୀ  
 ଯିତା କୃତିନାମବାସ  
 ଅନ୍ତର୍ଜାତିକ  
 ପଲ୍ଲଦେବାନ୍ତି -  
 „ଧିକ୍ଷା ମେଘତା“  
 „ - ଆମେ ଧାର୍ଯ୍ୟବାଦୀ  
 ବ୍ୟାକମନର୍ଥରୂପ ପାରପରମାଣୁ  
 ପଲ୍ଲଦେବାନ୍ତି“

1965



## ხილვა, ეპლის ბგირგვინი

მთაწმინდა თბილისს,  
გაშლილ მხარზე  
მტრედივით აზის,  
დაბლა კი გამზირს,  
გაჰყურებს შოთას  
უპვდავი ძეგლი.

და... მომეჩვენა:  
ქუდის მაგიერ,  
რუსთაველს თავზე  
ედგა დიდი გვირგვინი ეპლის.

1961



## ანაბასისი

კოლხთა მეფე აიეტზე  
არის მითი და  
ლეგენდა,  
განა ათი, განა ასი...  
და მეც, როგორც არიანებ,\*  
ვინც ზე-ცაში არიან დღეს,  
მსურდა წიგნი „ანაბასის“.

1973

---

\* ფლავიუს არიანე (90-175 წწ.)



## სევდა

როცა მეცხრე ცაში მფრინავს,  
დრო მშხამავს,  
ვით მორიელი,  
და ჩამცქერის თვალში სევდა,  
მაშინ,  
იქნე მორიალე,  
მე,  
ჩემს ლამაზ  
სიკვდილს ვხედავ!

2019



## ორო სოფელი

გადახურული ქამთა,  
ათასწლეულთა ბინდით –  
აქეთ –  
სოფელი მცირე,  
იქით –  
სოფელი დიდი,  
რომელთაც აკავშირებს  
მარადისობის ხიდი.

1991



## თემიდა

ეგრისელო!

ეგროსის ძევ და

შთამომავალო!

შენა ხარ ამაყი –

კოლხური თემიდან.

და მიტომ ღმერთებმა,

უღმერთოდ დაგსაჯეს,

ვით კოლხი სიზიფე<sup>1</sup>,

მაგრამ ხელთგეპყრა სიმართლის

მახვილი,

მწყალობდა ღმერთკაცი თემიდაც<sup>2</sup>,

2019

<sup>1</sup> სიზიფე (ბერძ.) – კორინთოს მითოლოგიური მეცვა.

<sup>2</sup> თემიდა (ბერძ.) მართლმსაჯულების ქალღმერთი.

## აორნი

როგორც მტკვრის და არაგვის,  
დიდი მდინარეების –  
ინდისა და კოვენის  
შესართავთან – „აორნი“ მდგარა  
ციხე-სიმაგრე,  
ისე, როგორც არმაზი,  
ახლა?! ლანდიდა მოჩანს,  
ჟამთა ხსოვნის ნარმაზე!!!

1983



## 100 – ფომეული

მინაწერი „კოლხური ფსალმუნების“

100 – ტომეულზე

„ფსალმუნთა“ 100 – ტომეული,  
მძიმე დღეებს  
გიადვილებს.

მაგრამ ჯერაც ადარ იცი,  
ეს ყოველი –  
ლეგენდა,  
მითია თუ  
სინამდვილე!

2019



## მიყვარხარ

უმთვარო ღამე —  
ბუნაგია ვეფხისნაწოლი!...  
არ ვიცი ეშმას —  
საიო მიყვარხარ!

და აი,  
ამ დროს  
ერთი სიტყვა —  
ზღვას გადაწონის  
— „მიყვარხარ!“

1971



## აქ არის ყველა

ზე-სკნელში არა,  
სადღაც ქვესკნელში,  
ქუხსა და  
ელავს...  
და ისმის ხმები –  
ციგტე,  
ციგი  
და შემზარავი:  
– აქ არის ყველა!  
მაგრამ...  
არავინ!

1980



## ୦୯୯୩୦୩୦

୪୦,

ଏହି, ମାଜୁରେଣ୍ଟରେଲମା,

୩୨୦ ଫିଲୋସ ଗାନ୍ଧାର୍ଯ୍ୟଙ୍କୁଳୀ,

ଶିଖଦେବତା କୋଷକାଳୀତ ଆଶୀର୍ବାଦ:

ଓହେ-ହେଲାଙ୍କି ଅରାଶା,

ମାଧ୍ୟାଶାତ୍ରା ରା

ଦାନୀଲାଚ.

1983



## ორი ქრისტეს მხედარი

ცის სარკეში ვიყურები,  
მომავლიდან,  
წარსულს ვხედავ!  
და დიდებას ოდინდელს:  
საქართველო –  
სანთელს უნთებს  
გელათში,  
ორ ქრისტეს მხედარს  
დიდ დავითს და  
ჭყონდიდელს.

1964



## ხარება

ვითარცა ქრისტე —  
 მკვდრეთით აღმდგარი,  
 ჩემო კოლხეთო —  
 შენ ხარ „ხარება!“  
 და უგვდავი სული ფასისის\*,  
 აწ და მარადის  
 უძვირფასესი,  
 ბლავილს რომ ისმენს  
 პელიოსის  
 ოქროს ხარების.

1968

---

\* ფასისი — წყლის დგომება კოლხურ პანთეონში



მოვნა,  
არყოვნა

თუმც მმები იყვნენ...  
მაგრამ სიცოცხლე,  
სიკვდილს ნიადაგ ფეხზე ეკიდა.  
და... ჩვენ ტანჯვისთვის არ ვეცოდებით.  
ბოლო გვეწვევა „ის“  
იმ ქვეყნიდან,  
მოსაკითხავად –  
ჩვენი ცოდვების.

2019

## ზელვა: სამართალი

აბა,

რაღა უნდა უთხრა

იმათ,

ვინაც მაცხოვარზე,

ხელი, ავად აღმართა!

ორიათასიც მიიღია,

იმის შემდეგ,

მაინც ცეცხლის წვავს აღმური

და...

რცხვენია –

სამართალს!

2019



\* \* \*

მიწა,

უცემ მიატოვე!

აბრიალდი ცაში ალად...

აშ სიკვდილი არ იქმარო.

არცა ვაჟას,

და არც გალას,

ეგრისელის ალი-კვალო.

2019



## მოკვდა და გარდაიცვალა

საფლავის ლოდებს ატყვია,  
სიკვდილისა თუ  
ხვიარის  
გაკრული ხელით ნაწერი –  
მოკვდა თუ გარდაიცვალა!  
ეს ჟამშა იცის,  
უჟამომ,  
ვინ მოკვდა,  
ანდა  
ვინც არა.

1980



## ნენანა

ლოცვაცა და კურთხევა  
მრევლთა,  
მღვდელ-დიაკვანთა,  
რომ, არასდროს ენანა,  
ხეთისმშობელი აკვანთან,  
თავის პირმშოს  
უმღვეროდა –  
„ნენანას“\*.

1966

---

\* „ნენანა“ კ. ი. ივნანა (არქიმანდრიტი პორფირი:  
„პირველი მოგზაურობა ათონის მონასტრებსა და  
სქიტებში“ 1645 წ.



## მზე და მთვარე

ცის ბაინადარი –

აქ ორნია –

მზე და მთვარე – შორეული  
არსაიდან მოსული.

შენი „ფსალმუნები“ – აორნია,

ინდის და კოფენის შესართავთან  
თხემზე მდგარი  
და მარტოსული.

2010



## ადამიანი მთვარეზე

კითარც მიწაზე არსი ყოველი,  
ცად ვარსკვლავები  
ოქროს თავებს  
ერთურთს ახლიან  
და „წესრიგი“ ჩანს ახლებური.  
ადამის ძეო, —  
აწი ზეცა შენი სახლია,  
მიღიარდობით —  
მნათთა ჯარით  
დასახლებული.

1966



ცა,

ღრუბელი,

გიდე მოპასანი

ცა ღრუბელის

წვერს უშვებს,

წკვარამივით უშავესს,

და არ ლამობს მოპარსებას!

— ნეტავ,

რა დავუშავე,

ცა, რომ მბაძავს

ბიწისშვილს!

— ეს წყინს გიდე მოპასანს.

1959

## პოეზიის რაინდი

ვაჟავ! –

შენი სახელი,  
არ სურთ მტრებს და  
მოშურნეთ

ცას რომ გამოუჩინონ!!!

მაგრამ ასწლეულები,  
მიღმა ათასწლეულთა  
იქით გამორიყავებ:

რომ შენ ვიღაც „უჩინო“,  
თურმე პოეზიის\* – „ჩინიანი“ იყავი.

2013

---

\* 2012 წელს ვაჟა ეგრისელს პოეზიის რაინდის წოდება  
მიენიჭა.

## ଧାରୀଜୀବନ, ଶରୀ

ତୁମିଟ ହମେରତାମଦ୍ଦେ ଆଦିନନ୍ଦା,  
ମାତି କ୍ଷେତ୍ର ଓ ଧା  
ଧିଦେବା!  
ମାଗରାମ ନୋହିବାରମା ଶୁଣିବ,  
ଫାଲିପା ଓ  
ଧାରୀଜୀବନ –  
ଧରିବେଶେତି ଓ ନିଦେଶିବ,  
ଦାଦିଲାନିବ ଓ  
ଶୁଣିବ.

1961



## აპაპი და ილია

„ჩემო კარგო ქვეყანავ!“

მორჩა,

აშ და მარადის,

ვიდრე,

კუბოს კარამდე,

შენთან ერთად ივლიან:

როგორც დიდი რუსთველი,

ვაჟა,

გალაკტიონი,

აკაკი და ილია...

1989



თორი,

სადგერი,

თაგვარაგანი

საქართველოს ცისქვეშეთში

დგანან ათასწლეულია

ქრისტეს რწმენის მოიმედედ,

მტერთა,

ჩვენთა დამფარავად,

და წვეთი არ შერევია

სისხლი „სხვათა“ —

თორს,

სადგერს და

თავფარავანს.

1969



## სულიომიდის ქარი

სიყვარულით აღვლენილი  
ყველა ლოცვა  
ღმერთთან მიდის,  
რომელიც გონს არ აბერებს.  
შენ კი ჩემო,  
არ გასვენებს  
სულიწმიდის  
მიერ ქარი მონაბერი.

1970



## ხორებან

მთვარე თითქოს და  
დედაფუტკარია,  
ახვევია უშქარი ვარსკვლავი...  
და ისმის წარსულის ყორესთან  
ძაღლების ყევა  
და წკაპწკაპი  
და ხმა თაფლნარევი:  
ხორებან!..  
ხორებან!...

1966



## ილორი

შეგვურებ ხატებს ხელაპყრობილებს,  
მაგრამ სახება არჩანს  
მერკურის\*.  
და სანთელს ვუნთებ მთავარანგელოზს.  
ილორის კართან სუნთქვაშეკრული  
ვდგავარ და ველი –  
წმინდა გიორგიმ,  
იქნებ...  
თეთრონი შემოაგევლოს!

1959

\* მერკური (ლათ.) – ვაჭრობის ღმერთი. ღმერთების შიგრიგი, მზის სისტემის პლანეტა.



## საქართველო

ხუთი ათასწლეულის  
შემდეგ საქართველოში,  
საიდანდაც გამოჩნდა  
დემონი თუ ავსული,  
რომელმაც ჩემს ქვეყანას  
დაუკარგა აწმუო და...  
მასთან ოქროს წარსული.

2013



## ნობეჭი

ალბატროსებს და მთათა არწივებს,  
ვის მორჩილებენ ზღვები,  
ქედები...  
და არ აძლევენ ნობეჭს მესკიებს!  
მათ...

ვინაც დიდი შემოქმედება  
აღმართა ცისქვეშ –  
ობელისკიფით...

1965



## დაგითი და პონსტაციე

(სამეგრელოს მეხუთე დალაშქრა)

ცხრაზე მეტი საუკუნე  
გავიდა და მათი სული,  
„მოწამეთას“ ვერ ისვენებს,  
რადგან „მათი“ სამეგრელო\*,  
„ქართველებმა“ კვლავ ატირეს!!!  
(რადგან აღარ სწამდათ დმერთო!!!)  
და... ცრემლები რიონს ერთვის  
დავითის და  
კონსტანტინეს.

1993

\* დავითი და კონსტანტინე მხეიძეები (გვარად „მხეციები“ კომლიდან.)

## გულევალი

რომ ეწვიოს ურს,  
ბაბილონს  
და ნაბუქოს  
და ავარდეს დედამიწას  
„უცებ ალი  
და სამყარო გადაბუბოს.  
კალამია —  
ჩემი შავრა  
ბუცეფალი\*.

2019

---

\* მაკედონელის — დვთაებრივი ცხენი.



## მყინვარი

ბედკრულ საქართველოში  
რა გამოლევს  
ნაფუძარს,  
ნაციხარს და  
ნატაძრალს:

— საიდანდაც მოისმის

ცივი —

ხმა გამყივარი:  
ალბათ მიტომ გულცივად,  
ყაზბეგს —  
„ხევის პატარძალს“  
გადმოჰურებს მყინვარი.

1979

## გოლეს და აქაგელს

კართან მომდგარმა ასწლეულებმა,  
კოლხეთის წარსულს  
მე მიმაქვავეს,  
რადგან ვისმენდი ოქროს ბდავილს  
ოქროს ვერძების.  
და... დიდ წინაპრებს –  
იქ დავეძებდი;  
ლაზეა და პელაზე...  
კოლხეს...  
და აქაგელს.

1960



## 3000

ახალი მინაწერი 2012 წელს გამოცემული „პოლხური ფსალმუნების“ 1575 გვერდიდან V ტომზე.

ამ წიგნში, ვით ამირანი,  
სტრიქონების ოქროს თოკით  
ვარ დაბმული  
და გოდების ხმები მესმის:  
3000-ზე მეტი ლექსის,  
ერთ კრებულში  
დასტამულის.

2019



## პოლიტიკური მთვარე

გამლილია ოქროს სუფრა  
კოლხურ ოდის აიგანზე,  
ზღვაც აქვეა და  
ნარნარებს...  
და ხმას „გაღმა“ ვაწვდენთ ლაზებს,  
ჩამოსულა —  
დაბლა მოვარე,  
ვით დვითიური  
სილამაზე.

1962



ახალი ათონი,  
ანაკოფია,  
სპიმონ კანაანელი

ასწლეულებმა მათი სახელი  
ბევრი არწივს და  
ანანავეს...  
დღეს ლეგენდები აწვიმს და  
ათოვს:  
როგორც ძველს,  
ისე, ამ ახალ ათონს  
და მასთან ერთად  
ანაკოფიის  
წმინდა ტაძარს და სვიმონ კანანელს.

1978



## მოვარე – პილიგრიმი

დასავიწყებლად არ ემეტება –  
მიდილები,  
შუმერები,  
დიაოხები.  
და ცას გაუკრთა ელვა –  
ლიმილი,  
გახსენებაზე ძველი ხეთების...  
მოხუცი მთვარე პილიგრიმივით\*  
ვარსკვლავთა შორის უდარდელად  
დაქაუტება.

1962

\* პილიგრიმი (რუს. паломник) – მოხეტიალე მღოცელი.



\* \* \*

რომაელთა შიშს და ქრისტოლას,  
ზღვაშიც დაუვანებია.  
პონტოს ნაპირს  
რომ მოადგნენ,  
ფრთაქათქათა თოლიები  
ოუ...  
მომხდეურთა  
აფრიანი ნაგებია?!

1968



## პოლიტიკი ცის აგარა

გადამომდგარი ფაზისზე;

კოლხეური ცის აბარწა\*

ათას,

ათასწლეულთა

წინ, კოლხეთზე მოარულ

მითებსა და

ლეგენდებს

ავლავ გაჰყენს და....

გაბაწრავს...

1966

---

\* აბარწა (მეგრ.) – აიგანი.



## პოლსური მთები

შორეული წარსულიდან მოსულები,  
ძველთა-ძველია,  
განა ახლებია,  
რომ დგანან პირამიდებად  
მუხურს მთები,  
და ეს „პოლსური ფსალმუნები“,  
კოლხური ოდა სახლებია  
ნაქსოვი უცხო ჩუქურთმებით.

1980



## რომი და გაფიგანი

სულ სხვა არის სამყაროს  
ფერი და რომანტიკა.  
ატლანტიკის ღელვა და  
სუსტიანი არქტიკა.  
მაგრამ სულს სხვა პეტი აქცე –  
კეისრების –  
რომსა და...  
პაპების „დიდ“ გატიკანს\*.

1982

---

\* გატიკანი – პაპის სახელმწიფო – ქალაქი ფართო 0.44 კვ. მოსახლეობა 730 ადამიანი.



ALBERTO

## 1000 ლარიანი

ერგასს\* უახლოვდები,  
ავდარი თუ  
დარია.  
გესმის სარაჯვილის  
„თავო ჩემოს“ არია.  
საქართველო შენობის კი,  
ისევ მზე და მთვარეა...  
და ჭვრეტ: შენი ხატება  
ამკობს –  
1000 ლარიანს.

1991

---

\* ერგასი – 50



## დიახებს და დიარხებს

სპარსელებმა სულ იცოდნენ:  
თხა რომ მგელთან  
არ იძოვებს  
და ყოველი მიაოხრეს:  
მზე წაართეს ჰალიძონებს<sup>1</sup>,  
დიანებს<sup>2</sup> და  
დიაოხებს<sup>3</sup>.

1988

---

1,2,3 – კოლხთა (ქართველთა) წინაპარი ტომები



\*\*\*

მამა, ძე და სულიშმინდის  
მადლიოთ,  
სოფლის ტიალ გზაზე,  
ასწლეულებს დაითვლიან:  
მეფსალმუნის „დავითნი“ და,  
დიდ დავითის „დავითიანს“.

2006



## HOMING\*

რაღგან ცხოვრება არის ტიალი  
და წუთისოფლად წანწალს  
ვუნდებით,  
შენც ქვეყნად ბევრი იხეტიალე  
და აი, ეხლა დამაშვრალი  
კვლავ „შინ“ ბრუნდები.

1987

---

\* პოუმინგი (ინგლ.) – შინ დაბრუნება. მოვლენა, როდესაც სახლიდან შორს წაყვანილი ცხოველი (ძაღლი, კატა, ცხენი, მტრედი) თავისით გზას იკვლევს და შინ ბრუნდება.



\*\*\*

გარსპოლავებით დაწინწკლული,  
ცისიერი ფერი ნათლის  
ტანს ეხვია ვით ზეწარი.  
შუაღამისას ხუთ ქალწულთან  
სიძის მოსვლას  
დავესწარი.


1995



\*\*\*

შენ ოდიოთ დაგყვა ბუნება,  
მეთევზისა და  
მეტყევის,  
და მიტომ გესალბუნება  
სიშორე და „ფსალმუნები“  
დაგიოთ წინასწარმეტყველის.

2003



\*\*\*

მადლით დაუშრებელი,  
გვედრი,  
მეც მიწყალობე:  
ისე, როგორც მიეცი,  
საგზლად ათასწლეულის –  
დავით ფსალმუნთ  
მგალობელს.

1993



\*\*\*

შორი და ახლობელი,

ხილული და

ფარული,

ის ერთია – ესერა.

ცა აქვს შემოსარული,

სიყვარულის მესერით.

2006



\*\*\*

სული უფლის მონაბერი –  
უქრობ სინათლედ  
და მაღლად,  
ცას და მიწას მოვინეს:  
დიდმა თომა აქვინელმა,  
მარკოზმა და  
პორფირემ.

1997



\*\*\*

ვერ დაადნო მზის ხურვებამ,  
მთვარის სევდამ,

ვერც ციალმა.

ის სულია —

ცის ლაჟვარდით მომქროლავი.

უფლის სიტყვა —

ვერცხლი არა,

სულ ბაჯადლო ოქრო არი.

1976



\*\*\*

ჩაქრა ბაგრატიონთა  
მზერა,  
უფლის სწორების.  
შენ მთვარეს და მზეს ელტვი...  
გენატრება „ცხოვრება“ –  
დიდი სკიმონ მესვეტის.

2015



\*\*\*

უფლის მადლით შებუმბლული,  
ხან უღონო,  
ხან ლომგული,  
დღე-ნიადაგ მღერის...  
ტირის...  
ვით პოტიკოს\* გამობმული –  
„სული ჩვენი“,  
ვითა სირი.

2007

---


\* პოტიკო – მახე, ოჯოჯი, სასირე



\*\*\*

შორი წარსულის მთის და  
 ზღვის იქიო,  
 თითქოს ქვეყანა ჩანს „აიების“,  
 შენს გარდა,  
 მისი არარს მნახველი.  
 იქ დამეები მწიფე მთიებიო –  
 დახუნძლულ ზეცის  
 ტოტებს არხევენ...

1966



\*\*\*

მუხლმოყრით,  
ხელაპყრობილი,  
უფალს შესთხოვდა წყალობას,  
ჩემი ჩანგი და ებანი.  
„მიბრძანეს რაც ბრძანებანი,  
ვერ დავიმარხე მცნებანი“.  
(დ. გურამიშვილი)

1971



\*\*\*

ელვა გაკრთა დვთის ფიქრივით  
და შენ მოჰყევ ქუხილივით,  
სიყვარულის სცან აურა.  
და გვიქციე უხილავი  
ხილულად და  
საცნაურად.

2001



\*\*\*

გაიელვებს სახე ლოთის,  
რომელს ორი და მიელის:  
წმინდა მარიამ და  
მართა,  
ვითარცა „მთას დანიელის“,  
ვით მფარველი  
დედის კალთას.

1956



\*\*\*

ორი ათასი წელია,  
შენს სიშორეს რომ  
მივტირით,  
თუმც სიახლოეს გვანიჭებ...  
შენა ხარ რწმენის  
ქვითკირი,  
მადლის ზღუდეც და  
კარიბჭეც.

2009



## გენახი და აბარაგი

ურწმუნოთა ხმა არ ისმის,  
ღვთისმოსავთა ბორგავს ქარი,

ციო ჩამოდის ლაპარაკი:  
— ახლა ცაში ერთად არის  
ვენახი<sup>1</sup> და  
აგარაკი<sup>2</sup>.

1977

1,2 — ვენახი — ქრისტეს მეტაფორაა, აგარაკი —  
მარიამის („ახალი აღთქმა“ „ძველი მეტაფორული  
კრებული“).



\*\*\*

შენს მტრებსა და მოშურნეთ,  
საქმე ცუდად მიუდიო!  
ხსნას არცერთი  
არ ელის.  
რას დაგაკლებს იუდა,  
უფალი გყავს  
მფარველი.

2006



\*\*\*

რაც უნდა გითხოვან და  
გედაონ,  
გამგებელი შენ ხარ ცისა,  
ჟამისგან ვერ გათელილი...  
გით დანიელ და გედეონ,  
კიბედ,  
მაყვლად და საწმისად,  
ჭვრეტ ღვთისმმობელს  
შავთელივით.

1984



## შენი სახელი

ქ.

რამდენი წელია,  
მალავენ,  
არ ამხელენ  
და იწვის გით საკირე,  
გაუა! –  
შენი სახელი –  
ქვეყნადა „არს საკვირველ“!  
(„შესაქმე“)

1999



## აგზა

კარზე როცა მოგვადგება –  
ღვინის ღმერთი აგუნა,  
ვარდი ესხმის ეპალსაც.  
მან სიცოცხლე არგუნა –  
„ახალ კაცს“ და  
„ძველ კაცსაც“.

2000

---

\* „ცოდვილი“ ადამი იწოდება „ძველ კაცად“, ქრისტეს მიერ აღდგენილი კი – „ახალ კაცად“. (პროფ. ტიტე მოსია)



\*\*\*

მდგარი ლოდინის ჭიშკართან,  
გულისფანცქალით  
რომელის  
სიყვარულსაც და ალერსსაც, –  
„ნეტარ არს კაცი,  
რომელიც“,  
ლექსს რომ ხმალივით ალესავს...

2004



\*\*\*

სახე წითლად შეფაკლული,  
მომღიმარე მთიებით  
სავსე არის ცის ბანი.  
უამთა ქარი არწევს დამეს,  
ვითარცა ნაძვს –  
ლიბანის.


2007



\*\*\*

მწვერვალებს რომ აფენია,  
მადლია,  
განა თოვლია,  
და ადეგს უფლის ურდული.  
შენ ებრძვი,  
ვითა დავითი,  
ქართული სიტყვის გოლიათს,  
სიბრძნის ქვით,  
აზრის შურდულით.

2004



\*\*\*

გრიგალად და ქარიშხალად,  
მარტო ხარ და...  
მარტო ქრი...  
მიწა შიშით კანკალებს,  
რადგან იწევ ზეცისკენ,  
ვითარცა რქა მარტორქის.

2009



## შურისძიება

სიყვარული არის ღმერთი!

მაგრამ, ჩემო,

კაცთა მოდგმა,

ერთმანეთის შურმა, მტრობამ,

სიძულვილის ჭიამ დაღრღნა!!!

მიტომ ღმერთმა

ერთხელ არა,

ორგზის მოუგლინა წარდგნა!

2014



\*\*\*

ღელვას გაჰყვა...  
მის დღეებს,  
წლები მზეზე აშრობდნენ...  
მერე გაქრა ნისლულად.  
იგი, წყლისგან ნაშობი,  
მიიბარა წყლის სულმა.

2008



\*\*\*

მამა უფალმა შემინდოს,  
 სითავხედე და  
 სიბეცე  
 და ოქმა სიტყვების ბრტყელ-  
 ბრტყელის.  
 „კოლხურ ფსალმუნში“  
 ოუ ქონავს,  
 ხმა –  
 დავით ფსალმუნმეტყველის.

1997



## გითარც ჩვენი მზე და ვარი

ამოგარდა უცებ ქარი  
და დრუბლებმა მიმოყრილი  
ვარსკვლავების ბზე –  
დაფარეს.  
გაკრთა ელვა, ვით დიმილი,  
ვითარც ჩემი მზე და  
ფარი.

2009



\*\*\*

ვინ უნდა იყოს ნეტავი?!

პაცოა მიუვალ  
შავ კლდიდან,  
ქალის რომ ისმის კივილი!

ყორნისებრ გულისმფლეთავი,  
მკოდავი ისრისპირივით.

2005



## პლევად საბჭორველი

ქართულ სიტყვის უშქარ ჯართან,  
დიდ მგოსანთა გამარჯვება  
არც ბოლოა,  
არც პირველი,  
მაგრამ მაინც უნდა ითქვას  
ეს „კოლხური ფსალმუნები“,  
ვით „ძლევად საკვირველი“.

2014



\*\*\*

ეს მიწისძვრა კი არაა, —  
 გვიყვებოდა ბავშვებს პაპა,  
 გითარცა ცას ვარსკვლავები,  
 შეესია სოფელს მკალი,  
 აღარ დარჩა ხე და ბუჩქი,  
 არ სარწყავი,  
 არც სამკალი,  
 ის ხსოვნაა საწყალ მიწას,  
 ვით მაშინ,  
 დღეს აკანკალებს.

2001



\*\*\*

სილურჯეს წუხს ცა –  
გოლხური,  
ბიბლიური და ნაქები,  
სად ენგური მიაგორებს –  
სვანურ კოშკისხელა ლოდებს,  
და წყურვილი დააქვთ  
რქებით  
ჯიხვებსა და ნიამორებს.

1969



\*\*\*

„ცეცხლთაგან შეჭამნეს იგინი“ –  
ქრუანტელად მთებსაც  
უკლის...  
და გულს კვლავ ესალბუნება:  
დიდი დავით მეფსალმუნის  
მოყვავილე „ფსალმუნები“.

1988



\*\*\*

სინამდვილე,  
ლეგენდა,  
პონტოს ზღვად დალექილი,  
სურს დუნიას მოფინო  
და არეულ მსოფლიოს  
აწესრიგებ ენქივით\*.

1977

\*ენქი – შუმერთა დეონიება, ქვეყანა



## პოლსეთი

შენ მყავდი წარსულში,  
 გით მზეთუნახავი,  
 სხვა რაღა მენატრა!  
 მწუხრისას ვარსკვლავებს,  
 გით „პოლხურ ფსალმუნებს“,  
 გინთებდი კელაპტრად.  
 ასი თუ ათასი წლის მერე,  
 პოლხეთო! –  
 ღმერთმა ქმნას! –  
 ჩემსავით,  
 სხვა ვინმემ მოგხედოს!

2014

\*\*\*

შენი სული,  
ვით ნეპტუნის,  
ხან მშვიდი და ხან  
მრისხანე,  
ზღვას და დელვას არ დაჯერდა.  
აფრინდა, ვით ქარიშხალი,  
კოლხურ მითის –  
ოგგაჯედან\*.

1970

\*ოგგაჯე (მეგრ.) – საბუდარი



\*\*\*

დეკემბრის სუსტმა მიღამო,  
მჭვირვალე ყინვით შემინა,  
მერე კარები ჩარაზა.  
მეხი კი არა,  
ანაზდად,  
ცამ ცხვირი დააცემინა.

1965



## ეანეას ტაძარი

წარსულიდან ხმა რომ ისმის,  
ალბათ არის ქალდეველთა  
ან შუმერთა:  
„— ქიანას დღას გაბლურუქი<sup>1</sup>“  
ეს ის ხმაა,  
ვინც ცას სული შეუერთა,  
დიდ ტაძრიდან ეანასი<sup>2</sup>  
და ურუქის.

1977

---

1 – „ქვეყნად არასდროს მოგავდები“ – (მეგრ.)

2 – ეანეას ტაძარი, ქ. ურუქში (III ათასწლეული)



\*\*\*

ელის მარადიული —  
მოკვდავს სამყოფელი  
და მიტომ სდევს  
გულისთქმას,  
რადგან სტანჯავს სოფელი,  
ვით ლერწამს და  
ურმისთვალს.

1986



\*\*\*

ეშმაკისეულთ დამით არ სძინავთ,  
ვიდაც თხოულობს შველას –  
არიქა!  
ზღვის სიჩუმეში ავარდა ალი  
და დამის ნისლში გაკრთა  
ორი რქა,  
ვითარც ულვაში სალვადორ დალის.

1971

რევი

## ქუჯისა და ფარნავაზის

ლევონ კურთხეულ ქართულ მიწას,  
აღმოსავლეთ —  
დასავლეთით,  
